

ანგარიში
პრაქტიკული სწავლების კომპონენტის
დანერგვასთან დაკავშირებით

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ – ავტორიზებული სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურად აგრძელებს პარტნიორობას კერძო სექტორთან.

ცენტრის ძირითადი მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში შემუშავებული ყველა საფეხურის პროფესიული პროგრამები და სხვადასხვა მოკლევადიანი სასერთიფიკატო ტერნინგ-კურსები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსები მორგებულია თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და მაღალი ხარისხის თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს.

მიზნის მისაღწევად, კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას, თანამშრომლობს საქართველოს და უცხოეთის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან. პრაქტიკის განხორციელებისთვის დადებულია მემორანდუმები შესაბამის კომპანიებთან.

კოლეჯის ძირითადი მიზნის მიღწევისთვის ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ სფეროში კერძო სექტორის ჩართულობის, მათ შორის, თანამშრომლობის გაზრდა, რათა სტუდენტებმა შეძლონ სტანდარტებით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის გავლა, რაც გულისხმობს კოლეჯის სტუდენტთა სამუშაო გარემოსთან შეგუებასა და პროფესიის შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება/დახვეწას.

კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულებები განსაზღვრულია ინჟინერიის, ხელოვნებისა და ბიზნესის ადმინისტრაციის, ასევე სხვა მიმართულებებით.

სპეციალობებიდან გამომდინარე მხოლოდ წელს 50-ზე მეტი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროში მოღვაწე კომპანიებთან. ისინი აქტიურად არიან ჩართულები პროგრამების სტანდარტების შემუშავების, პროგრამის განხორციელების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმდინარებისა და განხორციელების პროცესში და აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში პროგნოზში ცვლილების შეტანის ეტაპზე.

ვთანამშრომლობთ და მაქსიმალურ გათვლას ვახდენთ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად მომავალში პროფესიული განათლების პოლიტიკის წარმართვაში, რათა წარმატებული იყოს შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულები.

კოლეჯის პარტნიორ კომპანიებთან შეთანხმების საფუძველზე, საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ეტაპზე კომპანიები ახორციელებენ პროცესის მონიტორინგს, ხოლო საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდგომ მონაწილეობენ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით სტუდენტთა შეფასების პროცესში.